

გადამცემი ქსელის საიმედოობის დასადგენად შესაბამისი კვლევების ჩატარების  
ინსტრუქცია

**მუხლი 1.**

წინამდებარე ინსტრუქციის მიზანია ავარიული სიტუაციის წარმოშობის პრევენციის ქმედითი მექანიზმის შემუშავების პროცესში აუცილებელი თეორიული ბაზის შექმნა, შესაბამისი კვლევების ჩატარებისა და ავარიული სიტუაციის სიმულაციური მოდელირების განხორციელების გზით.

**მუხლი 2.**

1. გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია არანაკლებ თვეში ერთხელ ჩაატაროს ელექტროენერგეტიკული სისტემის ფუნქციონირების შესაბამისი კვლევები, რათა განსაზღვროს რა გავლენა ექნება სხვადასხვა ელემენტის მწყობრიდან გამოსვლას გადამცემი ქსელის საიმედო და უსაფრთხო ფუნქციონირებაზე.

2. მოთხოვნის შემთხვევაში გადაცემის და განაწილების ლიცენზიატი, ასევე მწარმოებელი ვალდებულია გადამცემი სისტემის ოპერატორის მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ელექტროენერგეტიკული სისტემის ფუნქციონირების კვლევების ჩატარებისთვის, შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

**მუხლი 3.**

1. გადამცემი სისტემის ოპერატორი ყოველთვიურად ადგენს საიმედოობის რეპორტს, რომელშიც მე-2 მუხლის საფუძველზე ჩატარებული კვლევების და დინამიკური მდგრადობის ანალიზის საფუძველზე, განსაზღვრული იქნება თითოეული 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის და 250 მგვტ და უფრო მეტი დადგმული სიმძლავრის მქონე აგრეგატის/ბლოკის გამორთვის გავლენა გადამცემი ქსელის საიმედოობაზე, სისტემაში გეგმიური სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოების გათვალისწინებით დასაგეგმი თვისათვის.

2. გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია ოპერატიულ-დისპეტჩერული მართვის პროცესში გაითვალისწინოს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული კვლევებისა და ანალიზის შედეგები.

**მუხლი 4.**

1. გადამცემი სისტემის ოპერატორი საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს დამატებითი ელემენტების (გარდა მე-4 მუხლში მითითებული ელემენტებისა) გამორთვის მოდელირებას და ამ ელემენტების გამორთვის გავლენის შეფასებას ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობასა და საიმედოობაზე.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მოდელირებას გადამცემი სისტემის ოპერატორი ახორციელებს „გადამცემი ქსელის დაგეგმვის მიზნით მათემატიკური მოდელების გამოყენებით რეჟიმების დამუშავების მეთოდებისა და პროცედურების“ შესაბამისად.

3. მე-4 მუხლში განსაზღვრულ დინამიკური მდგრადობის ანალიზისა და ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მოდელირებისას გადამცემის სისტემის ოპერატორის იყენებს საინჟინრო მოდელირების პროგრამა-ს PSSE (POWER SYSTEM SIMULATOR FOR ENGINEERING).